ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 209
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. ფოთი ,, 11 " დეკემბერი 2019 წ.
ერთის მხრივ
ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური"ს/კ 215082764.
მისამართი: ქ. ფოთი დ. თავდადებულის ქუჩა N 93.
საბანკო რეკვიზიტები: ,,სახელმწიფო ხაზინა " ბანკის კოდი: TRESGE22 ა/ა: 707247519
დირექტორი: რევაზ ბაბილუა. (შემდგომში „შემსყიდველი")
და მეორეს მხრივ,
მიმწოდებელი - შ.პ.ს. "ღვინის სახლი" ს/კ 415091117.
მისამართი: ქ. ფოთი, 9 აპრილის ქ. № 31
საბანკო რეკვიზიტი: სს „თი ბი სი ბანკი". ბანკის კოდი: ბ/კ TBGBGE22; ა/ა GE90TB7969936020100002;
ხელმძღვანელი: დირექტორი გრიგოლ სამსონიას სახით შემდგომში "მიმწოდებელს" შორის დადებულ იქნა ხელშეკრულება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

№	CPV კოდი	საქონლის დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთ. ფასი	ღირებულება
1	**18530000**	საჩუქრები (ღვინო ხვანჭკარა) სასაჩუქრე ყუთებით.	ცალი	2	35.00	70.00
		სულ:				70.**00**

2. ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება
2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 70.**00** (სამოცდაათი ლარი 00 თეთრი) ლარს.
2.2.ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.
3 მომსახურების მიწოდების ვადები
3.1 შესყიდული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს 2019 წლის 12 დეკემბრის ჩათვლით.
4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები
4.1. მოწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება განხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის და ინვოისის შესაბამისად, მიღება–ჩაბარების აქტის შემსყიდველისთვის წარდგენის შემდეგ 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში, უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში ლარში, მიმწოდებლის მიერ მითითებული რეკვიზიტების მიხედვით.
5. მიღება-ჩაბარების წესი
5.1. შესყიდული მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი მიღება ჩაბარების აქტის წარმოდგენის შემდეგ.
6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი
6.1. „შემსყიდველი" ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს „მიმწოდებლი"–ს მიერ მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
6.2. „მიმწოდებელი" უფლებამოსილია:
ა) მოსთხოვოს „შემსყიდველ"–ს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
6.4. „მიმწოდებელი" ვალდებულია:
ა) მიაწოდოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება სათანადო ხარისხისა და სრული მოცულობით, განუხრელად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულების პირობები იმ ვადაში, რომელიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში;
6.5 მხარეების პასუხისმგებლობა:
ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, კერძოდ, თუ მხარეები ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში ვერ შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, დადგება მათი პასუხისმგებლობა, რომელიც განისაზღვრება ჯარიმით - ხელშეკრულების საერთო თანხის 0,05 % - ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

საჯარიმო სანგციების გადახდა არ ათავისუფლებს ” მიმწოდებელს” ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
6.6 პირგასამტეხლოს დარიცხვის შემთხვევაში, მისი დაკავება მოხდება, მიმწოდებლისთვის ასანაზღაურებელი თანხიდან.

7.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს „შემსყიდველი“–ს მიერ გამოყოფილი თანამშრომელი – ზაზა მარკელია.
7.2. ინსპექტირება გულისხმობს „მიმწოდებლი“–ს მიერ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მოწოდებული მომსახურების ხარისხის კონტროლს.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.2. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა რაც წინამდებარე ხელშეკრულებას.

9. სხვა პირობები

9.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2020 წლის 30 იანვრის ჩათვლით.
9.2 ყველა სხვა საკითხი რაც არ რეგულირდება ამ ხელშეკრულებით რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
9.3 ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონულად ქართულ ენაზე.
9.4 ხელშეკრულების დადების საფუძველია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე–3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტი (5000 ლარამდე შესყიდვა).

10. უფლებების გადაცემა

10.1 “მიმწოდებელმა” “შემსყიდველის” წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს

შემსყიდველის მხრიდან:

ს.ს.ი.პ. „საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური“–ს

დირექტორი: რევაზ ბაბილუა

LEPL State Hydrographic Service of Georgia

Digitally signed by LEPL State Hydrographic Service of Georgia
Date: 2019.12.11 16:06:37 +04'00'

მიმწოდებლის მხრიდან:

შპს „ღვინის სახლი“–ის დირექტორი: გრიგოლ სამსონია